ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

24 ივლისი 2026

N 456

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების შესახებ

,,განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის (შემდგომში - სტანდარტი) მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სამსახურს წარედგინა ა(ა)იპ - „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ (შემდგომში - ბაფ) 2026 წლის 02 ივლისის N153 წერილი (სამსახურში რეგისტრაციის N112761/16; რეგისტრაციის თარიღი: 03.07.2026 წ.), რომელსაც თან ერთვოდა სერტიფიცირებული ბუღალტრებისა და აუდიტორების 2026 წლის განგრძობითი განათლების პროგრამები.

,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

კანონის, სტანდარტისა და სამსახურის აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის მეორადი სტრუქტურული ერთეულის (პროფესიული განათლების ზედამხედველობისა და რეესტრების წარმოების სამმართველო) ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებლის და მეორადი სტრუქტურული ერთეულის (მონიტორინგისა და მოკვლევის სამმართველო) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი) დავით სხილაძის 2026 წლის 22 ივლისის N69382-16 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს ბაფ-ის სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებული წარმოება;
2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და აღიარდეს 2026 წლის 02 ივლისის N153 კორესპონდენციით წარმოდგენილი სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი განათლების 2026 წლის პროგრამა;
3. მიენიჭოს ბაფ-ის სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი განათლების პროგრამას ნომერი - SARAS-CPD-026/26;
4. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს ბაფ-ის მიერ წარმოდგენილი პროგრამის სტანდარტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის განხორციელება, ხოლო ბაფ-ს - ლექციაზე მსმენელთა ელექტრონულად დასწრებისათვის გათვალისწინებული, ელექტრონული უზრუნველყოფის (შესაბამისი ბმულების) შესახებ ინფორმაციის სამსახურისთვის მიწოდება;

5. დაევალოს ბაფ-ს აღიარებული სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი განათლების პროგრამის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნება (www.gfpaa.ge);

6. გადაწყვეტილება გაეგზავნოს ბაფ-ს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) დღის ვადაში;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64), ბრძანების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

თორნიკე ძაგნიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი

https://edoc.mof.ge/public/#/456-16-4-202607241305